საჯარო უწყებების ინსტიტუციური ცვლილებების როლი კარგი მმართველობის გაძლიერების პროცესში

მარიამ ელყანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ელყანაშვილი

2023 წელი

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების მანძილზე, საქართველოს უმთავრეს სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სრული ინტეგრაცია, რაც ასევე განმტკიცებულია სახელმწიფოს უზენაესი კანონით - კონსტიტუციით.

გამართული საჯარო მმართველობა, ევროკავშირში გაწევრების ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობაა. ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ აიღო ვალდებულება საჯარო მმართველობის კუთხით სიღრმისეული რეფორმების განხორციელების კუთხით. შედეგად, 2015 წელს შეიქმნა გზამკვლევი, რომლითაც დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი ეტაპი. თუმცა, გასული წლის ივნისში, ევროპული საბჭოს მიერ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარების პარალელურად, კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრა დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, მათ შორის, საჯარო მმართველობისა და ინსტიტუციური ცვლილებების მიმართულებით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, შეისწავლოს კარგი მმართველობის გაძლიერების პროცესში საჯარო უწყებების ინსტიტუციური ცვლილებების მნიშვნელობა, საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მდგომარეობა და წარმოადგინოს კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის სფეროში ცოდნის გაღმავებას და საჯარო პოლიტიკის შექმნაში ჩართულ თუ სხვა დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მითითებებს იმ სტრატეგიების, მექანიზმებისა და ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ წარმატებულ ინსტიტუციურ ცვლილებებს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული შერეული მეთოდების მიდგომით გაანალიზდა, როგორც უცხოური ქვეყნის წარმატებული გამოცდილება, ასევე, სიღრმისეული ინტერვიუების და არსებული ლიტერატურის ყოვლისმომცველი

ანალიზის შედეგად, დეტალურად იქნა შესწავლილი საჯარო მმართველობის რეფორმის, ერთ-ერთი მიმართულების - ანგარიშვალდებულების კუთხით საქართველოს მდგომარეობა. არსებული სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის სტანდარტს და დემოკრატიული რეფორმების წარმატებისთვის საჭიროა მეტი ძალისხმევა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საჯარო სამსახურის რეფორმა, კარგი მმართველობა, ინსტიტუციური ცვლილება

Abstract

Over the past decades, Georgia's main strategic priority has been a full integration in the European Union and the North Atlantic Alliance, which is also reaffirmed by the supreme law of the state - the Constitution.

A well-functioning public administration is one of the fundamental prerequisites of joining the European Union. According to the Association Agreement, Georgia undertook to carry out meaningful reforms in the field of public administration. As a result, a guide was created in 2015 and a new era of public administration reforms has started. However, in June of last year, simultaneously with the recognition of the country's European perspective by the European Council, the implementation of democratic reforms, including in the field of public administration and institutional changes, was determined as a precondition for granting Georgia the status of a candidate.

The present thesis is an attempt to explore the importance of institutional changes within public entities while strengthening good governance, to determine the state of implementation of public administration reform in Georgia, and to present the conclusions reached as a result of the research, based on which it will be possible to outline relevant recommendations. This, in turn, will contribute to the development of knowledge in the field of public administration and provide evidence-based guidance to public policy makers and other stakeholders on the strategies, mechanisms and factors that facilitate successful institutional changes.

Using a mixed methods approach a successful experience of a foreign country was analyzed within the framework of the research. Moreover, as a result of the in-depth interviews and a comprehensive analysis of the existing literature, current status of one of the key directions of the public administration reform - ensuring accountability principle in Georgia - was examined in great detail. The analysis of the current situation reveals that the country is unable to upkeep the appropriate standard, and that the success of the democratic reforms requires more efforts, as well as implementation of appropriate changes.

Key Words: Public Administration Reform, good governance, institutional changes.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - არჩილ აბაშიძეს ნაშრომის დამუშავების პროცესში მეთოდური რჩევებისთვის, დროული უკუკავშირისთვის და გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო დოლიძეს კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის, მხარდაჭერისთვის და ყველა რესპონდენტს - დათმობილი დროისა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისთვის.